

გეორგი მსოფლიო ომის ინვალისი ინგლისელი

გერჩილის მიერ იმ ფაქტის აღიარებამ, რომ ჯერ კიდევ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის დამთავრებამდე იგი აპირებდა შეეიარაღებია გერმანელი ჯარისკაცები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად, დიდი აღშფოთება გამოიწვია ინგლისელი ხალხის ფართო ფენებში.

— ჰიტლერელებთან ბრძოლაში მე მხედველობა დავკარგე... მაგრამ ახლა ნათლად ვხედავ ვინ არის ინგლისელი ხალხის მტერი...

ა ე ბ ე ბ ი

მარსი და დოლაკები

„პროექტი ჩვენი სააქციო კორპორაციისა ითვალისწინებს პლანეტა მარსის საკუთრებად გამოცხადებას. პლანეტა მარსი დაყოფილი იქნება ცალკე საწარმოო უბნებად და მათი ექსპლოატაციის მიზნით, მოხდება კაპიტალდაბანდებანი სათანადო აქციების გამოშვებით...“

არკანზასის შტატის სამმა „კოსმიურმა მრეწველმა“ ასეთი „მუხლებისაგან“ შედგენილი განაცხადი შეიტანა შეერთებული შტატების სათანადო ორგანოში... სათანადო ნებართვის მისაღებად.

ხუმრობა არ გეგონოთ, დიდად ავტორიტეტული ფრანგული გაზეთი „ჰუმანიტე“ მოგვითხრობს ამაზე.

ასე გასინჯეთ, იმ „სათანადო ორგანოში“ ზემოაღნიშნული განაცხადი საგეფთიდან მიღებულ კორესპონდენციად კი არ ჩათვალეს, არამედ საქმიან „კოსმიურ“ წამოწყებად მიიჩნიეს და სათანადო ბეჭდებითაც „გაამაგრეს“.

რატომაც არა? ბოლოს და ბოლოს ხომ არც ისე დიდი ხანია გასული შას შემდეგ, რაც ასეთივე ტიპის ეულიკებმა მონოპოლია გამოაცხადეს... მთვარეზე და იყო სხვა პლანეტების იჯარით ალები შემთხვევაც.

„პლანეტა მარსის განვითარების კორპორაცია“.

მოდით და გულით ნუ გაგეცინებათ ასეთი მყვირალა სახელწოდების გაგონებაზე.

მაშ ასე, უოლსტრიტელი ბიზნესმენების წარმოდგენით, მათთვის საკმარისი როდია დედამიწა, რომლის მთლიანად დაპყრობაზედაც ისინი ბოდავენ, საჭიროა პლანეტებიდანაც ცის მანანსავით მოცვიოდეს დოლარები. ამისათვის მხოლოდ საჭიროა „განავითარონ“, ე. ი. დაეპატრონონ მათ.

მერე და იცით რით აპირებენ კანზასელი აფერისტები მარსის „განვითარებას“? — უშვებენ ბაზარზე მაღალფასიან აქციებს და მათი ანაზღაურებისათვის პასუხისმგებელი არიან... არც მეტი, არც ნაკლები, თვით მარსის სათანადო

„უძრავი ქონებით“, ანუ იმ კოსმიური ტერიტორიით, რომელიც შორეულ ლაქვარდ სივრცეში თავისთვის ბრწყინავს, ყოველგვარი ამერიკული ვიზისა და ბეჭდის დასმის გარეშე.

მაგრამ ასეთ სასაცილო მდგომარეობამდე ხუმრობის გუნებას როდი მიჰყავს უოლსტრიტელი საქმოსნები: ხვალინდელი დღის უიმედობა, ახალი ომის ისტერია და მშვიდობისათვის ბრძოლაში მშრომელი მასების დარაზმვით გამოწვეული პანიკა აიძულებს შორეული პლანეტებისკენ გაიწოდონ მოკლე ხელები.



ქროხები — პოლიციის
ჩეთაუწყებლის ქვე

სენსაციების შეთხზვაში აწერიკის პოლიციას რომ ტოლი არ ყავდა, ეს ძველთაგანვე ცნობილია. ამერიიდან ეს შარავანდელი ამერიკელებს მოხსნილად უნდა ჩათვალოს: იტალიის პოლიციამ აშკარად ჩამოართვა მონოპოლია და, როგორც იტყვიან, თვით ანტიამერიკული განწყობილების გამოძველევ კომისიასაც კი „ლილა გაუხუნა“.

თვალსაჩინო მაგალითი:

ამას წინათ, „ანსას“ სააგენტომ გამოაცხადა, მთელს ფერარის პროვინციაში სასოფლო-სამეურნეო დარგის მუშები გაიფიცნენო. ამ ნიადაგზე სახელმწიფო პუნქტებში შეწყდა რძის პროდუქტების მიწოდება.


დაფაცურდა იტალიის პოლიცია. ფერარის პროვინციის ფერმებში ეგზეკუტია ჩააყენა და ძროხებს შეიარაღებული მცველები მიუჩინა. შეიარაღებულ შტრეიკბრეხერებს დავალება მიეცათ დაწვრილებითი მასალები წარუდგინონ პოლიციას ფერმებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა „ნიჭის“ დახარჯვა დასჭირდება იტალიის პოლიციას, რომ სენსაციური მასალები შეჭმნას არა მარტო გაფიცულ მუშათა პოლიტიკური განწყობილების შესახებ, რომელნიც ხელფასის გადიდებას მოითხოვენ, არამედ... თვით მეწველი ძროხების დანაშაულობათა გარშემოც.

კრივი თარქეთში

თურქეთის მეჯლისში დეპუტატებს შორის ხშირად ხდება უთანხმოება, რაც ჩხუბითა და ცემა-ტყეპით მთავრდება.

ნახ. გ. ლომიძისა



- აღაჯან, კრივი დავიწყოთ?
- დაიცა, ხომ ხედავ, ერთი კაციც კი არ მოსულა.
- ზალხს ტყუილად ნუ ელით, ისინი კრივის საყურებლად მეჯლისში დადიან.

„შეიწყალოს!“

შემოდგომაა სადახლოში. ქვევრებს შუშუნა მაჭარი ეძალება და ისმის „ბე-ე-რი-ი კაა-ცი-ი ვა-არ“...

რკინიგზის სადგურის ახლოს ორ-სართულიანი სახლის სარდაფშიც ისხდნენ მოქეიფენი, მოხუცებულ თამადას პირზე ხელადა მოეყუდებინა და ჭერს ისეთნაირი თვალებით უყურებდა, თითქოს ეუბნებოდა: „რა ვქნა, ზეცაო, ერთ ლუკმა პურსა ვჭამ და მოდი ნუ დამაყვედრებო!“ ის იყო მაგიდის წვევრებს „გამოს“ უნდა დაეძახათ, რომ ოთახში ყვირილისა და ღრიანცელის ხმა შემოვარდა;

— არიქა, უშველეთ, გასრესავს! მოქეიფეებმა ადგილი მოინაცვლეს და მათ თვალწინ ისეთმა სანახაობამ გაიბრინა, რომ გაკვირვებისაგან პირები გააღეს: რკინიგზის ლიანდაგზე, სადგურის მიმართულებით გავაზიშვე, რილი იდგა არც მაინცდამაინც დიდი სიმსუქნის ჭაკი ცხენი და აქა-იქ ამოშვერილ ნეკნებზე არხეინად ირტყამდა ტალახში ამოსვრილ კუდს. ორთქლმავალი კი კივილით უახლოვდებოდა ქვიქვირჩამოვარდნილ ჯავლაგს.

— ვისია, ხალხო, ვისი, ეს ნადირის შესაქმელი? — შეეკითხა მოგროვილ ხალხს სადგურის მორიგე.

— ვისია და ჩვენი კლმეურნეობისაა! — ჩაილაპარაკა კოლმეურნემ.

ორთქლმავალმა ერთი კიდევ შეპკივლა და თავისი მსხვერპლი პანტასავით გაისროლა მის მიერვე გაკორტნილ მიწდორში.

ცნობისმოყვარეებიდან ზოგმა ტრაგიკულად დაღუპული ცხენის „ცხედარს“ მიაშურა, ზოგმა ბინისაკენ აილო გეზი, მოქეიფეებმა კი ისევ სარდაფში შეიბუღეს და ცარიელ ჭიქებს აუტეხეს ჯახუნი.

— იცით, ძმებო, მოდი, ამ პატარა ჭიქითა და დიდი გრძნობით ამ ერთ თვეში ჩვენი მწყემსების დაუდევრობით და ჩვენი თავმჯდომარის ანხანაგ ბაირამოვის თვალებით გამოტირებული, რკინიგზაზე დაღუპული ოთხი ცხენისა და ერთი კამეჩის შესანდობარი იყოს.. ამინ... ამინ! ისინიც შეიწყალოს, რომლებიც ამ წელში დაიღუპნენ... — დასძახეს მოქეიფეებმა, შავი მაჭარი მშვილდით მოხრილ შოთებზე დააწვეთეს და კიდევ შეხედეს სარდაფის ჭვარტლიან ჭერს.

— ეს შესანდობარი კი შესანდობარია, მაგრამ ვინ შეუნდობს ამხანაგ ბაირამოვს კოლმეურნეობის საჭონლის ასე განიავებას?

მ. კახელიაშვილი



თბილისის ტრამვაის წელს შეუსრულდა 50 წელი. სახელგანმა იუბილარმა 50 წლის განმავლობაში გადაიყვანა 3.930.000.000 მგზავრი, გაიარა 399 მილიონი ვაგონო-კილომეტრი, ე. ი. დაახლოებით 10-ჯერ შემოლუარა დედამიწას ეკვატორის გასწვრივ.

მასთან ერთად, ნიანგსაც მრავალჯერ უმგზავრია. სიამოვნებით ვბეჭდავთ მის სურათს და მიკულოცავთ გამარჯვებას. აქვე ვათავსებთ მისი წინაპრის პორტრეტს... იგი თბილისის მრავალ მოქალაქეს პირადად ახსოვს..

გ ა ვ თ ა ვ რ ე ბ ი ..

რედაქციის მითხოვნებით შევასწორე მითხრობები,

არ დამჭირდა მონაწილეობა, გადაკეთდა რომანებად.

ამის შემდეგ შენიშვნები .. მაგრამ განა შევშინდები?

თუ რედაქტორს მოენება, გადავაქცევ პოემებად.

ასჯერ მითხრან, ასივეჯერ გამოვშიგნავ თავდადებით,

რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ თვით მე არ გავთავდები.

ზაქარია შერაზადიშვილი

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ქ ი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-43.

გამომც. № 23, ხელმოწ. დასაბ. 8/XII-1954 წ. ქალ. ზომა 70x108 1/2, 0,5, ნახ. ფურც. 1,37. „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42 წიკ. № 2560 უფ 20201 ტირ. 20.000

ქვემოთაშენი
ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს
სპორტის მალაქის კლასი—ცხენებით მთიდან დაშვება.

„კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაზე ცხენოსნობაში სვესურებმა და მთიულეებმა უჩვენეს სპორტის მაღალი კლასი—ცხენებით მთიდან დაშვება.

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს
347
18/11 57

გეგმაჟორის რაიონის საგზაო განყოფილების გამგე—რა კარგი სურათი დაუხატავს მხატვარს, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ეს ცხენოსნები ჩემი რაიონის მცხოვრებნი იყვნენ, მაშინ ვზების უვარგისობაზე საყვედურები ამცდებოდა...